შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, რომ ტესტის III ნაწილი - წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი - ორი დავალებისაგან შედგება.

უნდა აირჩიოთ **ერთ-ერთი მათგანი** (N1 ან N2) და უნდა შეასრულოთ ამ დავალებაში მოცემული: **ა) წაკითხულის გააზრებაც და ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზიც.**

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 80.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 4 საათი და 15 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

I. ტექსტის რედაქტირება (20 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. *გაასწორეთ* მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

(თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.)

სოლოლაკი თბილისის ძველი უბანია. იგი მდებარეობს მტკვრის მარჯვენა მხარეს. მისი სახელი არაბულისაგან უნდა მომდინარეობდეს და სარწყავ წყაროსთან თუ არხთან უნდა იყოს დაკავშირებული. გადმოცემის თანახმათ არაბების ბატონობის პერიოდში „ციხის ბაღის“, დღევანდელ ბოტანიკური ბაღის, მოსარწყავად არხი გაუყვანიათ, რომელსაც არაბულად „სულუ-ლაჰ“ რქმევია. სჩანს ეს სახელწოდება ჯერ არხის მკვებავ ნაკადულსა და მთაზე, შემდეგ კი მთის ძირას არსებულ ნაკვეთზედაც გავრცელებულა.

სოლოლაკი ძველთაგანვე ბაღჩაბაღებით იყო დაფარული. ვახუშტი ბაგრატიონისეულ თბილისის გეგმაზე აღნიშნულია მეფის, დედოფლის, მამასახლისისა და დიდებულთა ბაღები. 1803 წელს ერთ-ერთი მათთაგანი კერძოდ, „დედოფლის“ ბაღის ნაწილი თეკლა ბატონიშვილს მიუღია მზითევში.

სოლოლაკის განაშენიანება XIX საუკუნის პირველი ნახევრიდან იღებს საფუძველს, მისი ინტენსიური ათვისება კი ამავე საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. თანდათანობით ბაღები გაიჩეხა და მათი ადგილი დაიმკვიდრა საცხოვრებელმა სახლებმა, რომლებიც ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა. XIX საუკუნის ბოლოს სოლოლაკი ყველაზე პრესტიჟული უბანი იყო. შეძლებული თბილისელების ვილები სიმდიდრითა და მშენებლობის ხარისხით ნამდვილად არ ჩამოუვარდებოდა ევროპულს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არქიტექტურაში მოდერნის სახელით ცნობილი მიმართულება, რის საუკეთესო ნიმუშებიც გვხვდება სოლოლაკში. თბილისის ეს უბანი რომელიც არაერთ სიძველეს ინახავს დღესაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

II. არგუმენტირებული ესე (20 ქულა)

არსებობს მოსაზრება, რომ დემოკრატია გულისხმობს საკუთარი თავისუფლების შეზღუდვას სხვის სასარგებლოდ.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გააანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, შეაფასეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები და ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ ტექსტის შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

გაითვალისწინეთ, *თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით, ნაშრომი არ გასწორდება.*

III. წაკითხულის გააზრება და მხატვრული ტექსტის ანალიზი (40 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

1.

ყურადღებით წაიკითხეთ დავით წერედიანის ლექსი „ზახილი“:

შავშამშე, მეფის მასხარა,
ხელგამხმარი და მარღი,
ვამბობ: რაც ქვეყნად ცრემლია,
ობოლ ღიმილად არ ღირს.
რჯული იცვალა ხელმწიფემ,
რაწამს უბრძანა შაჰმა,
წვერ-ულვაშს ინით ვიღებავთ,
თრიაქს ვუბოლებთ მაჰმადს.
სკივრში ჩაკეტა გვირგვინი,
ჩალმით შეიმკო თავი.
იქნებ კიდევაც ნაღვლობდეს,
არ კი ეტყობა, რა ვი...

დღეს უგუნებოდ ბრძანდება,
წარბებშეყრილი დადის:
წვიმს, ნაწვიმარზე ძაღლები
ველარ დაკვლევენ ნადირს.
აწვიმს ტახტსა და ტახტრევნებს,
ფარებს, ეტრატებს, ქნარებს,
სამეფო სარჩულ-საპირეს –
ჯვარს და ნახევარმთვარეს.
წავილექსებ და სირცხვილით
შემეფაკლება ღაწვი,
აწვიმს შაირს და ქარაგმას,
ყველა ხუმრობას აწვიმს...
კვლა მიხმო ჩვენმა პატრონმა
სალაღობოდ და საზმოდ,
ვთქვით: ცრუ სოფელნო, ძოწ-ლალნო,
შავო ინდოთა რაზმო.
კვლა წავუხდინე ხელობა

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

რქმის და მაჯამად მირქმის.
მითხრა: „ის დროა, ხუმარო,
ჩაჩში გიცვლიდე გვირგვინს“.

თუ ღმერთმა ჭკუა არ მომცა,
საქმეც არ მომცა დიდი,
ძველ-ძველ ხუმრობებს ვყიდულობ,
ცოტას ვფერავ და ვყიდი.
ვკადრე: „სხვა იყო გვირგვინი,
გარნა იცვალნენ დრონი,
დღეს ეგეც მასხრის ჩაჩია,
რომელს რომელი წონის“!
...გავასწარ, მაგრამ ზახილი,
ოთხი ძახილი მწარე,
მჯიღშემართულმა გაგზავნა
ქვეყნის ოთხივე მხარეს...

შავშამშე, მეფის მასხარა,
ბევრის მომსწრე და მთმენი,
ვთქვათ და ყველაზე სულელი,
ვთქვათ და ყველაზე ბრძენი,
ვამბობ: იმედი კვამლია,
ცრემლი – ყომრალი სითხე.
თურმე რამდენი ფარული
სიბრძნე გჭირდება, იდგე!
ცრის... რა უღრანი ღამეა...
ღმერთო, გზას ავცდი მგონი...
ძახილის ძალა მომეცი,
ძალი წყვდიადში დგომის.
ამ ქვადქცეული ღამიდან,
ამ ბნელეთით და მკვდრეთით,
სხვა რა გააღწევს ნამდვილი,
მწარე ძახილის მეტი...

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. როგორ არის დახასიათებული ლექსის პირველი სტრიქონებით მასხარა?

ა) როგორც ერთგული და თავდადებული.

ბ) როგორც ვაჟკაცური და მომხიბლავი.

გ) როგორც მარტოსული და უმეგობრო.

დ) როგორც უშნო და ულაზათო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **4. რას ნიშნავს სიტყვები:** „რაც ქვეყნად ცრემლია, ობოლ ღიმილად არ ღირს“?

ა) უბედური ადამიანების დაცინვა ცრემლის მომგვრელია.

ბ) ქვეყნის უბედურება პირადულივით უნდა განვიცადოთ.

გ) ყოველგვარი უბედურების სათავე საზოგადოების გულგრილობაა.

დ) ყოველგვარ უბედურებას მცირეოდენი ბედნიერება გადაწონის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **5. რა პოლიტიკურ რეალობას აჩვენებს ავტორი?**

ა) მეფემ მტრის ბრძანებისთანავე უყოყმანოდ უარყო საკუთარი რჯული და მაჰმადიანობა აღიარა.

ბ) მეფემ, სიკვდილის შიშის მიუხედავად, არ უარყო საკუთარი რჯული და ქრისტიანობა შეინარჩუნა.

გ) ქრისტიანებმა ვერ დაიცვეს სარწმუნოება და ხალხმა მასობრივად დათმო მამაპაპური რწმენა.

დ) ქრისტიანული რწმენა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მტერმა მას საფრთხე ვერ შეუქმნა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. რომელ სტრიქონებში ჩანს ცხოვრების მიმართ მასხარის დამოკიდებულება?

ა) „ვამბობ: რაც ქვეყნად ცრემლია,

ობოლ ღიმილად არ ღირს“.

ბ) „იქნებ კიდევაც ნაღვლობდეს,

არ კი ეტყობა, რა ვი...“

გ) „რჯული იცვალა ხელმწიფემ,

რაწამს უბრძანა შაჰმა“.

დ) „ძახილის ძალა მომეცი,

ძალი წყვდიადში დგომის“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 7. რატომ არის მეფე „წარბებშეყრილი“ და „უგუნებოდ“?

ა) სანადიროდ ვერ მიდის.

ბ) სასახლეში წვიმა ჩამოსდის.

გ) ქვეშევრდომთა გულგრილობა აღიზიანებს.

დ) ქვეყნის მდგომარეობას განიცდის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **8. როგორი განწყობილებაა გამოხატული ლექსის ამ მონაკვეთში:**

„აწვიმს ტახტსა და ტახტრევნებს,
ფარებს, ეტრატებს, ქნარებს,
სამეფო სარჩულ-საპირეს –
ჯვარს და ნახევარმთვარეს“.

ა) აღშფოთება.

ბ) თვითკმაყოფილება.

გ) ნაღვლიანობა.

დ) ოპტიმიზმი.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **9. რის თქმა სურს მასხარას სიტყვებით:** „წავილექსებ და სირცხვილით შემეფაკლება ღაწვი“?

ა) მეფე ხუმრობას ვეღარ იტანს.

ბ) ქვეყანაში ხუმრობის დრო აღარაა.

გ) შაირობა უღირს საქმედ იქცა.

დ) წვიმა ხუმრობის ხალისს აქრობს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **10. რა აზრის გამოსახატავად იყენებს ავტორი სიტყვებს:** „ვთქვით: ცრუ სოფელო, ძოწ-ლალნო, შავო ინდოთა რაზმო“?

ა) კარის პოეტები ერთმანეთს სატრფოს მიმართ ერთგულებაში ეჯიბრებიან.

ბ) პაექრობის დროს პოეტები ცდილობენ საკუთარი უპირატესობა წარმოაჩინონ.

გ) პოეტური მაღალფარდოვნებით ინიღბება ქვეყანაში შექმნილი ტრაგიკული ვითარება.

დ) ქვეშევრდომთა ნიჭიერებას მეფე პოეტური ოსტატობის მიხედვით აფასებს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. რომელ მონაკვეთში ჩანს, რომ მეფე აღიარებს მასხარის უპირატესობას პოეტური პაექრობის დროს?

ა) „თუ ღმერთმა ჭკუა არ მომცა, საქმეც არ მომცა დიდი“.

ბ) „კვლა მიხმო ჩვენმა პატრონმა სალაღობოდ და საზმოდ“.

გ) „მითხრა: ის დროა, ხუმარო, ჩაჩში გიცვლიდე გვირგვინს“.

დ) „წავილექსებ და სირცხვილით შემეფაკლება ღაწვი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 12. ლექსის რომელ მონაკვეთში არის გამოყენებული მეტაფორა?

ა) „კვლა მიხმო ჩვენმა პატრონმა

სალაღობოდ და საზმოდ“.

ბ) „რჯული იცვალა ხელმწიფემ,

რაწამს უბრძანა შაჰმა“.

გ) „სკივრში ჩაკეტა გვირგვინი,

ჩალმით შეიმკო თავი“.

დ) „ძველ-ძველ ხუმრობებს ვყიდულობ,

ცოტას ვფერავ და ვყიდი“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 13. რატომ ამბობს მასხარა, რომ ღმერთმა დიდი ჭკუა არ მისცა?

ა) მეფეს უთხრა, დღეს შენი გვირგვინიც მასხარის ჩაჩიაო.

ბ) მეფეს უთხრა, პოეტურ პაექრობაში ვერასოდეს ვერავინ დაგამარცხებსო.

გ) მეფეს უთხრა, პოეტური ოსტატობით ყოველ პაექრობაში დაგჯაბნიო.

დ) მეფეს უთხრა, შენი გვირგვინი სჯობს მასხარის ჩაჩსო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 14. რომელი მხატვრული საშუალებაა გამოყენებული სიტყვებში: „ამ ქვადქცეული ღამიდან“?

ა) ალეგორია.

ბ) ეპითეტი.

გ) ირონია.

დ) ჰიპერბოლა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 15. მასხარის რა განცდა არის გამოხატული ლექსის ფინალურ ნაწილში?

ა) აღფრთოვანება.

ბ) აღშფოთება.

გ) კმაყოფილება.

დ) სასოწარკვეთა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **16. რის შესახებ არ საუბრობს ავტორი ამ ლექსში?**

ა) მეფის რისხვის.

ბ) პოეტური ოსტატობის.

გ) რჯულის შეცვლის.

დ) სატრფოს მშვენიერების.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 17. რომელი ანდაზა შეესაბამება ყველაზე მეტად ამ ლექსის თემას?

ა) „დედის წინ მხტომ კვიცს მგელი შეჭამსო“.

ბ) „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“.

გ) „სხვას ორმოს ნუ უთხრი, თორემ თვითონვე ჩავარდებიო“.

დ) „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ, როგორ იხატება მასხარის სახე ამ ლექსში.
- იმსჯელეთ, როგორ იხატება მეფის სახე ამ ლექსში.
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

2.

სულხან-საბა ორბელიანის წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“ რუქა ჰყვება:

იყო ერთი გლახაკი ყრმა. წავიდა სხვაგან სამწიროდ. დაჰყო ერთი წელი. ცხრა ფლური მოიღვაწა. წლის გასრულებაზე წამოვიდა თვისსა თემსა.

რა ქალაქს მოახლოვდა, მდინარე იყო და გაშიშვლდა, დაიბანა და ტანს ჩაიცვა. წამოვიდა, ფლურები თურე მუნვე დარჩა.

მოაგონდა ფლურები და აღარ აქვნდა. ღმერთსა აღთქმა დაუდვა: თუ ჩემი ფლურები ვიპოვნე, ერთი შენს სახელზე გლახაკს მივსცეო.

მივიდა, სადაც ტანი ებანა, მუნვე პოვა.

წამოვიდა ქალაქად. ერთი უსინათლო გლახა პოვა, უთხრა თავისი ამბავი: ასე აღთქმა დამიც და აჰა ფლურიო!

იგი გლახა ორისავ თვალით ბრმა იყო. ასე უთხრა: რადგან ღვთისათვის შეგიწირავს, ცხრავე მომეც, მე რომელიც მნებავს, გამოვარჩევო.

დაენდო კაცი იგი, და ცხრავ მისცა. მან ბრმამ ცხრავ ჯიბეში ჩაიდვა. ამ კაცმან თხოვა დაუწყო.

გლახამ ზახილი შექმნა: მიშველეთ, ეს კაცი რას მიპირობსო?

მოწამე არა ჰყვანდა. წაართვა მან ბრმამან ფლურები. დაღონდა ის საბრალო კაცი, თან გაჰყვა: ამ ჩემ ფლურებს რას უზამსო?

შევიდა ეს გლახა თავის სახლში, ერთი ქილა ამოიღო, სულ ფლური ედვა, ისიც ზედ დააყარა და უთხრა: ჩემო ხუთასო ფლურო, ეს ცხრაც შემოგმატეო!

სამჯერ შეაგდო ქილა და დაიჭირა. მეოთხედ რა შეაგდო, მან კაცმან ჰაერში ხელი მოჰკრა და დაუმალა. ეძება ბევრი, მაგრამ სადღა ჰპოვებდა? გამოვიდა და დაიწყო ტირილი.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

მოვიდა სხვა უსინათლო გლახაკი და უთხრა: რა გატირებსო? უამბო მის ამბავი: ასე, ხუთასი ფლური დავკარგეო!

მან მეორე ბრმამ უთხრა: აგრე უნდა ფლურის შენახვაო! ამ ჩემს მრუდს ჯოხში შვიდასი ფლური ძეს, სადაც დავაგდებ, ვინც აიღებს, მევე მომიტანსო!

უწინდელმა ბრმამ სთხოვა: მაჩვენეო!

რო მიაძლია, ეს საბრალო კაცი იქივ იდგა, მან გამოართვა. რა დაგვიანდა, თხოვა დაუწყო.

მან უთხრა: არ მოგიციაო. ამაში შუღლი გამოერიათ ორთავ ბრმათა.

ამ ჩხუბზე ერთი სხვა უსინათლო ბრმა მოვიდა, ჰკითხა: რა გაშუღლებსთო?

მან მისი ქილისა უთხრა და მან მისი ჯოხის ამბავი.

მან მესამემ ბრმამ უთხრა: ვაი თქვენს ჭკუასა, რა კარგა შეგინახავსთ ფლურებიო! ამ ჩემს ძველს ჩოხაში ათასი ფლური ძეს, სადაც გავაგდებ, მევე მომცემენო.

საბრალო იგი კაცი მუნვე დგა. ესმოდა, წავიდა, თაფლი იყიდა და ჩოხაზე შესცხო. ფუტკარი დაეხვია. ბრმამ ჩოხა გაიხადა. ისიც მან საბრალო კაცმან წაიღო. შექმნეს ამ სამთავ ბრმათ ყვირილი და ტირილი.

ეს საქმე სამეფოდ გახდა.

მეფემ კაცი დააძახა: ვინც ჰქმენით, მოდით, მე მიამბეთ, თვარა სულ ამოგწყვეტთო!

იგი საბრალო კაცი შეშინდა. მივიდა და ყველაყა მოახსენა: ესრე კარგი ვუყავ და სიკეთის პასუხი ეს მიყოო.

მას საბრალო კაცს მეფემ ესრე უბრძანა: რადგან კარგისათვის კარგი არავის უქმნია, ას-ასი ფლური შენს სამლოცველოდ მიეც და სხვა შენი იყოსო.

უთხრა ლეონ:

ეგ კარგისათვის ავი პასუხი არ არის. მას საბრალოს კაცსა ღვთის აღთქმა გარდაუხდია, ბრმა დაჰხარბებია, სამთავ უსამართლოებით ნაშოვნი ჰქონიათ და ღმერთს სულ იმ საბრალოსთვის მიუცია.

კითხვებზე გადასვლა: 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 17.

ა) წაკითხულის გააზრება (15 ქულა)

დავალების შესასრულებლად ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) 3. რომელ ლიტერატურულ ჟანრს მიეკუთვნება მოცემული ტექსტი?

ა) ნოველას.

ბ) თქმულებას.

გ) რომანს.

დ) იგავს.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **4. რას ნიშნავს** „გლახაკი ყრმა“**?**

ა) სასოწარკვეთილ მონას.

ბ) წარუმატებელ მეომარს.

გ) შეუხედავ მიჯნურს.

დ) ღარიბ ახალგაზრდას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) **5. რა მიზნით წავიდა ყრმა** „სხვაგან სამწიროდ“**?**

ა) საარსებო საშუალების მოსაპოვებლად.

ბ) დაკარგული სატრფოს მოსაძებნად.

გ) შელახული ღირსების აღსადგენად.

დ) უცხოობაში გულის გადასაყოლებლად.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 6. რას ნიშნავს – „ღმერთსა აღთქმა დაუდვა“?

ა) ღმერთს პირობა მისცა.

ბ) ღმერთს საყვედური შეჰკადრა.

გ) ღმერთს დანაპირები შეახსენა.

დ) ღმერთს ბოდიში მოუხადა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 7. რომელ ფრაზაში ჩანს მოტივაცია ყრმის საქციელისა – ბრმას „ფლური“ მისცეს?

ა) „ღმერთსა აღთქმა დაუდვა“.

ბ) „ფლურები თურმე მუნვე დარჩა“.

გ) „სადაც ტანი ებანა, მუნვე პოვა“.

დ) „ცხრა ფლური მოიღვაწა“.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 8. ყრმის რა თვისება ჩანს მონაკვეთში: „დაენდო კაცი იგი, და ცხრავ მისცა“?

ა) პატივმოყვარეობა.

ბ) მიმტევებლობა.

გ) ალალმართლობა.

დ) შურიანობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 9. პირველი ბრმის რა თვისებები ჩანს მის საქციელში: „მან ბრმამ ცხრავ ჯიბეში ჩაიდვა“?

ა) გონიერება და შორსმჭვრეტელობა.

ბ) სიხარბე და უტიფრობა.

გ) სისაწყლე და უუნარობა.

დ) სისასტიკე და შურისმაძიებლობა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 10. რა შედეგი მოჰყვა იმას, რომ პირველმა ბრმამ ყრმის კუთვნილი „ცხრა ფლური“ მიითვისა?

ა) საკუთარმა საქციელმა წარსული ცხოვრების ავ-კარგზე დააფიქრა.

ბ) რაც ადრე ჰქონდა დაგროვილი, ის თანხა გაუორმაგდა.

გ) რაც ადრე ჰქონდა დაგროვილი, ის თანხაც დაკარგა.

დ) მომხდარმა სხვისთვის პატივის მიგების აუცილებლობაში დაარწმუნა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 11. მეორე ბრმის რა თვისება ჩანს მისსავე სიტყვებში: „ამ ჩემს მრუდს ჯოხში შვიდასი ფლური ძეს, სადაც დავაგდებ, ვინც აიღებს, მევე მომიტანსო!“?

ა) სამართლიანობა.

ბ) დაუნდობლობა.

გ) მოხერხებულობა.

დ) მჭევრმეტყველება.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 12. მესამე ბრმის რა თვისებაზე მიუთითებს ის, რომ მას „ათასი ფლური“ ძველ ჩოხაში აქვს დამალული?

ა) გაბედულებაზე.

ბ) სიბრძნეზე.

გ) სისასტიკეზე.

დ) სიძუნწეზე.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 13. რას ნიშნავს – „ეს საქმე სამეფოდ გახდა“?

ა) მეფის განსასჯელი გახდა.

ბ) მეფისთვის დასამალი გახდა.

გ) სამეფოს ბედის გადამწყვეტი აღმოჩნდა.

დ) სამეფოს დაშლის მიზეზად იქცა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 14. რით ახსნა თავისი მოქმედება „საბრალო კაცმა“ მეფის წინაშე?

ა) ბრმამ სიკეთეზე სიკეთითვე მიპასუხაო.

ბ) ბრმამ სიკეთეზე ბოროტებით მიპასუხაო.

გ) ბოროტება სიკეთეზე ყოველთვის იმარჯვებსო.

დ) ბოროტების ჩამდენი დაუსჯელი რჩებაო.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 15. ლეონმა „საბრალო კაცის“ დამსახურებად მიიჩნია ის, რომ:

ა) მას მეფის წინაშე თავი ღირსეულად ეჭირა.

ბ) იგი მოძალადე ბრმებს კეთილშობილურად მოექცა.

გ) მან საკუთარი ქონების დასაბრუნებლად ყველაფერი იღონა.

დ) მან ღმერთისათვის მიცემული პირობა შეასრულა.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 16. რომელ ლიტერატურულ ხერხს იყენებს ავტორი თავისი სათქმელის გადმოსაცემად?

ა) ალიტერაციას.

ბ) მონოლოგს.

გ) ალუზიას.

დ) ალეგორიას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

(1) 17. რის შესახებ არ საუბრობს ავტორი ამ ტექსტში?

ა) სამეფო სამართლის.

ბ) სამშობლოს სიყვარულის.

გ) ანგარების.

დ) უსამართლობის.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე

ბ) მხატვრული ტექსტის ანალიზი (25 ქულა)

წერითი დავალების ინსტრუქცია:

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

ნაწერი არ გასწორდება, თუ ნაშრომი დავალებას არ უპასუხებს, მოცემული ტექსტის პერიფრაზია, არ არის შესრულებული არც ერთი მითითება ან მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურადაა გაგებული, ანდა ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ორივე წერით დავალებას თან ახლავს სამ-სამი მითითება. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი ან მოცემული ტექსტის პერიფრაზი (თუნდაც მთელი თხზულების შინაარსის გადმოცემა). გაითვალისწინეთ, რომ დავალების მითითება შესრულებულად არ ჩაითვლება, თუ მასზე მხოლოდ ერთი-ორი წინადადებით იქნება პასუხი გაცემული.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ, დეტალურად და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და არა იმის მიხედვით, ემთხვევა თუ არა თქვენი პოზიცია საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისს. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

დაშვებული შეცდომა გადახაზეთ და ნუ დაჯღაბნით.

გააანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ „გლახაკი ყრმის“ მხატვრული სახის შესახებ.
- იმსჯელეთ, რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი (ყურადღება მიაქციეთ მეფის პოზიციას).
- იმსჯელეთ ტექსტის მხატვრული თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე
დაბრუნება ტექსტის მეორე გვერდზე